რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის

ბროშურა მოამზადა და გამოსცა სამოქალაქო განვითარების სააგენტომ (სიდა) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს (GPAM) - ფარგლებში და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით.

1. სკოლამდელი განათლება

როგორ დავარეგისტრიროთ ბავშვი სასურველ ბაღში?

თბილისში სკოლამდელი აღსაზრდელის რეგისტრაცია მიმდინარეობს ინტერნეტის საშუალებით, ელექტრონული ფორმით. ბავშვის რეგისტრაცია შესაძლებელია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მშობლის მიერ შერჩეულ მხოლოდ ერთ საბავშვო ბაღში, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.kids.org.ge ან ადგილზე ბაგა-ბაღში.

გაითვალისწინეთ!

პირველ ეტაპზე რეგისტრირდებიან სოციალურად დაუცველთა ოჯახებში მცხოვრები ბავშვები, რომელთა სარეიტინგო ქულაც 100, 000-ზე ქვემოთაა. აგრეთვე „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ ფილიალის, ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები და იმ ოჯახების ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით, ანუ იმ ბავშვების და ან/ და ძმა (დები ან/და ძმები), რომლებიც უკვე დადიან იგივე ბაღში. აღნიშნულ შემთხვევაში რეგისტრაცია მიმდინარეობს სხვადასხვა დღეს და მხოლოდ გარკვეულ საათებში.
ხელი არ მიგიწვდებათ ინტერნეტზე? შეგიძლიათ, მიმართოთ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს, სადაც დაგეხმარებიან აღნიშნული სერვისის განხორციელებაში.

ბავშვის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია:

- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (უცხოენოვანი დაბადების მოწმობის შემთხვევაში აუცილებელია თარგმანი, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად);
- ბავშვის 2 ბიომეტრიული ფოტოსურათი;
- ბავშვის ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა;
- ბავშვის მშობლების პირადობის მოწმობათა ასლები.

საბავშვო ბაღში ბავშვის ინტერნეტით რეგისტრაციისთვის უნდა შეავსოთ ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა, სადაც მიუთითებთ:

1. რომელ მუნიციპალიტეტში/ქალაქში გსურთ დარეგისტრირება;
2. ბაღის დასახელება / ნომერი;
3. ჯგუფი (ბავშვის ასაკი);
4. ბავშვის სახელი;
5. ბავშვის გვარი;
6. ბავშვის პირადი ნომერი;
7. ბავშვის დაბადების თარიღი;
8. დედის პირადი ნომერი;
9. დედის სახელი;
10. დედის გვარი;
11. მამის პირადი ნომერი;
12. მამის სახელი;
13. მამის გვარი;
14. ელ. ფოსტა;
15. ტელეფონის ნომერი.

აღნიშნული ინფორმაციის შევსების შემდეგ, უნდა დააწკაპუნოთ ქვემოთ მოცემულ ღილაკზე -„შემდეგ“ და მიჰყვეთ ინსტრუქციას. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ შერჩეულ ბაგა-ბაღში ადგილი შევსებულია, ვებ-გვერდი ავტომატურად გაცნობებთ ამის შესახებ და აღარ მოგცემთ რეგისტრაციის საშუალებას. თქვენ შესაძლებლობა გექნებათ ხელახლა შეხვიდეთ ველში „ბაღის დასახელება/ ნომერი“ და აირჩიოთ სხვა ბაგა-ბაღი.

სასწავლო პროცესი, როგორც წესი, იწყება კალენდარული წლის 15 სექტემბერს, ხოლო რეგისტრაცია მიმდინარეობს 1-დან 8 ივლისამდე (მონაცემები მოცემულია 2015-2016 სასწავლო წლისთვის და შესაძლებელია 2016-2017 წლისთვის განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო პროცესსა და პროცედურებში). დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს:

ქ. თბილისი, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო
მის.: ქ. თბილისი, ა.მიცკევიჩის ქუჩა 29-29/ა
ტელ.: (+995 32) 2 37 82 45
ელ-ფოსტა: kids@tbilisi.gov.ge

2. ზოგადი განათლება:

საქართველოში პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება სამ ეტაპად. **პირველ ეტაპზე** პირველკლასელების რეგისტრაცია იმ სკოლებშია შესაძლებელი, სადაც მათი და/ძმა (დები/ძმები) სწავლობენ, მშობლები მუშაობენ, ან რომლის

ოჯახიდანაც ერთდროულად ორი, ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში (მაგალითად, ტყუპები). დანარჩენი მსურველების რეგისტრაცია იწყება შემდეგ, უკვე მეორე ეტაპზე. აღნიშნულ პირველ ეტაპზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლებში) მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება ხორციელდება სკოლაში.

გაითვალისწინეთ!

მეორე ეტაპზე ხორციელდება საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვის სკოლაში დარეგისტრირება მოხდება მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით. რეგისტრაცია ხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე: www.emis.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლებში) მეორე ეტაპზე რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება მკაცრად დადგენილ ვადებში.

გახსოვდეთ:

პირველ და მეორე ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება.

მესამე ეტაპზე რეგისტრაცია ხორციელდება სკოლაში, მეორე ეტაპის დასრულების შემდგომ გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილზე, მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება აქვთ იმ ბავშვებს, რომელთა ასაკი შეესაბამება იმ დროისთვის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

როგორ დავარეგისტრიროთ ბავშვი სკოლაში ინტერნეტის საშუალებით?

1. პირველკლასელის დასარეგისტრირებლად, პირველ რიგში, შედიხართ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე www.mes.gov.ge, რომელიც მშობლებს სკოლის არჩევაში დაგეხმარებათ, გვერდზე ყველა საჯარო სკოლის შესახებ დეტალური ინფორმაციაა მოცემული.

2. ვებ-გვერდზე შესვლისას დაინახავთ სპეციალურ აპლიკაციას „პირველკლასელთა რეგისტრაცია“, დააწკაპუნებთ აღნიშნულ ველზე, შედიხართ და

იწყებთ რეგისტრაციას;

3. ბავშვის ონლაინ რეგისტრაციისთვის შემდეგ ეტაპზე მოგიწევთ ფორმის შევსება, სადაც მითითებულია: „მოსწავლის მონაცემები“. შესაბამის ველებში უნდა მიუთითოთ ბავშვის მოქალაქეობა და პირადი ნომერი. რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით აჭერთ ღილაკს -„შემდეგი“.

გაითვალისწინეთ:

- მოსწავლის (ბავშვის) შესახებ ეკრანზე გამოტანილი ყველა ველის შევსება სავალდებულოა.

უნდა აირჩიოთ მხოლოდ ერთი სკოლა და როდესაც სისტემა დაგიდასტურებთ რეგისტრაციას, საბუთების წარდგენა უკვე სკოლაში მოგიწევთ. წარსადგენი საბუთები:

- ნოტარიულად დამოწმებული ბავშვის დაბადების მოწმობა (აუცილებლად პირადი ნომრით);
- განცხადება (აღნიშნული განცხადების ფორმას მოგცემენ სკოლაში);
- ჯანმრთელობის ცნობა;
- 2 ბიომეტრიული ფოტოსურათი;
- მშობლების ქორწინების მოწმობა.

გაითვალისწინეთ!

- ყურადღება მიაქციეთ სკოლაში დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობას;
- გაითვალისწინეთ, მონაცემები იცვლება დინამიურ რეჟიმში;
- იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის დასრულებამდე არჩეულ/შერჩეულ სკოლაში არსებული ლიმიტი ამოიწურა (რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვისთვის ადგილი აღარ არის) ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება;
- სკოლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების ნახვა, შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.catalog.edu.ge

6. რეგისტრაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მიიღებთ პასუხს ბავშვის სასურველ სკოლაში ჩარიცხვის შესახებ, რისი დადასტურებაც შესაძლებელია აგრეთვე SMS-ის საშუალებით. გაითვალისწინეთ, რომ SMS-ის კოდის მოსვლას შესაძლოა გარკვეული დრო - 15-20 წუთი დასჭირდეს.

გაითვალისწინეთ!

- რეგისტრაციის დასრულებამდე ეკრანზე გამოდის მოსწავლის შესახებ რეგისტრაციის პროცესში მითითებული ინფორმაცია და უნიკალური კოდი, რომელსაც სისტემა ავტომატურად ანიჭებს თითოეულ რეგისტრირებულ პირველკლასელს (მაგალითად: 321654xKAna).
- რეგისტრაციის პროცესში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია პირი, რომელიც უშუალოდ ახდენს ბავშვის რეგისტრაციას.

7. იმ შემთხვევაში, თუ ინტერნეტთან ხელი არ მიგიწვდებათ, ბავშვის დასარეგისტრირებლად შეგიძლიათ მიმართოთ საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

გახსოვდეთ:

- ონლაინ რეგისტრაცია მხოლოდ საჯარო სკოლებზე ვრცელდება;
- კერძო სკოლები პირველკლასელთა მიღებას ახორციელებენ ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე.

თუ თქვენი შვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ უკვე დადის სკოლაში და გსურთ სამშობლოში დაბრუნება, აღნიშნული სკოლიდან უნდა წამოიღოთ ყველა დოკუმენტი (მოსწავლის პირადი საქმე, ნიშნების ფურცელი), რომელიც დაადასტურებს ბავშვის სკოლაში დასწრებას და სწავლას, რათა მან საქართველოში შეძლოს სწავლის გაგრძელება და არ ჩამორჩეს სწავლის პროცესს. უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარებისათვის განცხადებით უნდა მიმართოთ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და მიუთითოთ მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სკოლის მოსწავლე გააგრძელებს სწავლას.

თუ თქვენი შვილი უცხოეთის სკოლის მოსწავლეა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გსურთ მისი გადმოყვანა, მოსწავლის ჩასარიცხად სკოლაში უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება;
2. დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, რომელიც მოსწავლის ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში ინახება;
3. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;
5. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ან მისი ტერიტორიული სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საქართველოს

მოქალაქეობის, საქართველოში ბინადრობის მოწმობის მქონე მოსწავლისათვის პირადი ნომრის მინიჭება.

ბავშვის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში დარეკეთ შემდეგ ნომერზე: (+995 32) 2 200 220

საინტერესო ბმულები:

www.skool.ge - მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ადაპტირებული რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესს. სასწავლო ერთეულები განაწილებულია საფეხურების (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მიხედვით. თუმცა, მასწავლებელმა ნებისმიერი აქტივობა საგაკვეთილო საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება გამოიყენოს მითითებულისგან განსხვავებულ კლასებშიც.

www.el.ge - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა.

www.buki.ge - საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსი.

პროფესიული განათლება

როგორ მივიღოთ პროფესიული განათლება?

პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად.

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყებისათვის აუცილებელია პროფესიული ტესტირების გავლა.

ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს და თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი. კონკრეტული პროფესიული განათლების საფეხურები განისაზღვრება პროფესიული სტანდარტით.

სახელმწიფომ შეიძლება აღიაროს არაფორმალური პროფესიული განათლება, რაც მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა

და ღირებულებების შემოწმებას.

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისთვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში არსებული კომისია.

პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ–გვერდძე: www.eqe.ge

როგორ ხდება უცხოეთში მიღებული პროფესიული განათლების აღიარება?

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გსურთ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება, უნდა წარადგინოთ საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან უნდა ირკვეოდეს ათვისებული სასწავლო კურსების/მოდულების ჩამონათვალი, თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში (ან საკონტაქტო საათებში), სათანადო შეფასებით.

რისთვის არის საჭირო აღიარება?

უცხოეთში მიღებული პროფესიული განათლების აღიარება შესაძლებელია, როგორც სწავლის გაგრძელების, ისე დასაქმების მიზნისთვის.

კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება, პროფესიული განათლების რომელ საფეხურზე აქვს სტუდენტს სწავლის გაგრძელების უფლება.

განათლების აღიარებას ახორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. 1, ტელ.: (+995 32) 2 200 200, ვებ-გვერდი: www.eqe.gov.ge

უმაღლესი განათლება

საქართველოში 2004 წლის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად სავალდებულო გახადა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება.

თუმცა, თუ თქვენ განათლება მიიღეთ უცხოეთში, გაქვთ უფლება საქართველოში სწავლა გააგრძელოთ ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე.

ამისათვის უნდა მიმართოთ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განათლების აღიარების მიზნით. თქვენი განათლების აღიარების შემთხვევაში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს თქვენი განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გადაგზავნას. საგანმანათლებლო დოკუმენტთან ერთად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნდა წარადგინოთ თქვენ მიერ არჩეული დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით).

თუ თქვენ გაქვთ ატესტატი, ან მასთან გათანაბრებული (მაგალითად, საშუალო პროფესიული განათლების) დოკუმენტი, სწავლას გააგრძელებთ უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, ხოლო თუ თქვენ გაქვთ ბაკალავრის დიპლომი, სწავლის გაგრძელებას შეძლებთ მაგისტრატურაში. თუ თქვენ გაქვთ მაგისტრის, ან მაგისტრთან გათანაბრებული (მაგალითად, სპეციალისტის დიპლომი) აკადემიური ხარისხი, შეძლებთ სწავლა გააგრძელოთ დოქტორანტურაში.

თუ თქვენ სწავლა არ დაგისრულებიათ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და გსურთ სწავლა გააგრძელოთ საქართველოში, შეგიძლიათ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უცხოეთში მოპოვებული კრედიტების აღიარების საფუძველზე, შესაბამისი კურსიდან გააგრძელოთ სწავლა.

გაითვალისწინეთ:

იმ შემთხვევაში, თუ განათლების აღიარების მსურველი პირი არ არის სრულწლოვანი, მშობელმა თან უნდა იქონიოს საკუთარი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და განათლების აღიარების მსურველი პირის

დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი უცხო ენაზეა შედგენილი, უნდა წარმოადგინოთ ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი).

საქართველოში ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილი), შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ განცხადების უცხო ენაზე შევსებისას აუცილებელია, რომ განმცხადებელმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინოს აღნიშნული უცხოენოვანი განცხადების ქართულ ენაზე შედგენილი, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

აღიარების დოკუმენტის წარდგენა და ვადები:

საბოლოო აღიარების დოკუმენტის მიღების შემდეგ ის უნდა წარადგინოთ იმ დაწესებულებაში, სადაც მოგთხოვეს მისი წარდგენა. აღიარების დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია, ასევე, დასაქმების მიზნებისათვის.

აღიარების დოკუმენტი უვადოა. თუმცა, აღიარების დოკუმენტი შეიძლება გაბათილდეს საგანმანათლებლო დოკუმენტის გამოცემის მომენტიდან, საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის საპირისპირო გარემოებების დადასტურების შემთხვევაში.

რა დოკუმენტები უნდა წარადგინოთ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისთვის საქართველოში და რა პროცედურების გავლა მოგიწევთ საქართველოში?

თუ თქვენ უცხოეთში მიღებული გაქვთ განათლება, მისი აღიარების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება; (განცხადების ფორმა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: www.eqe.ge. შევსებული განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად შეგიძლიათ გააგზავნოთ ფოსტის მეშვეობით)

2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ასლის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);

3. სხვა პირის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში - უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა);

4. მშობლის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, შვილის დაბადების მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

5. საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

6. საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ჩვეულებრივი წარმოება (30 სამუშაო დღის განმავლობაში) - 30 ლარი; დაჩქარებული წესით წარმოება (15 სამუშაო დღის განმავლობაში) - 60 ლარი.

შენიშვნა: წარმოების დაჩქარება ხდება მხოლოდ ატესტატისა და დიპლომის შემთხვევაში.

საფასურის გადახდისგან თავისუფლდებიან:

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები;

ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები;

გ) ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები და იძულებით გადაადგილებული პირები – 50 %-ით;

დ) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – 50 %-ით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების ნუსხიდან ყველა დოკუმენტის ჩაბარება აუცილებელია. თუ თქვენ ჩამოთვლილიდან გამოგრჩათ ერთი დოკუმენტი მაინც, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი არ განიხილავს თქვენს განცხადებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს:

ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ 1, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ყოფილი შენობა (სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია). ტელ.: (+995 32) 2 200 220 (*3546), ელ-ფოსტა: info@eqe.ge, ვებ-გვერდი: www.eqe.gov.ge

„რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის“ პუბლიკაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
- იუსტიციის სამინისტროს / სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს / მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურსოფლის მეურნეობის სამინისტროს

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

გიორგი გოგიშვილი
ქეთი აბულაშვილი
ზვიად დევდარიანი

www.cida.ge www.fb.me/cidacso